საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2014 წლის 27 ივნისი № 130

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის არჩევნების მე-2 ტურთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ წინასაარჩევნო რეკლამის გაშვების მიზნით, წინასაარჩევნო რეკლამის დროის განსაზღვრისა და ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ტარიფების დამტიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევო კოდექსი" 50-ე და 51-ე მუხლების, ასევე, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და 66-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის არჩევნების მე-2 ტურთან დაკავშირებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში უფასო წინასაარჩევნო სარეკლამო დრო საარჩევნო სუბიექტებისთვის განისაზღვროს შემდეგი სახით:

   ა) კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო წინასაარჩევნო სარეკლამო დრო სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი და მეორე სატელევიზიო, ასევე, რადიოარხებზე FM 100.9 და FM 102.4 განისაზღვროს საათში არაუმეტეს 60 წმ-ის ოდენობით თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის;

   ბ) არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო წინასაარჩევნო სარეკლამო დრო სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი და მეორე სატელევიზიო, ასევე, რადიოარხებზე FM 100.9 და FM 102.4 განისაზღვროს დღეში 15 წმ-ის ოდენობით თითოეული არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის 17:00 საათიდან 19:00 საათამდე საათობრივ ზოლში მცოცავი გრაფიკით;

2. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის არჩევნების მე-2 ტურთან დაკავშირებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების დრო კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის ერთი დღის განმავლობაში განისაზღვროს შემდეგი სახით:
   ა) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველ სატელევიზიო არხზე - 22 წუთი;

   ბ) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მეორე სატელევიზიო არხზე - 18 წუთი;

   გ) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" რადიო არხზე FM 100.9 - 24 წუთი;

   დ) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" რადიო არხზე FM 102.4 - 18 წუთი.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის არჩევნების მე-2 ტურთან დაკავშირებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სატელევიზიო და რადიო ეთერში ერთი დღის განმავლობაში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის განისაზღვროს თანდართული სახით. აღნიშნული ტარიფებით ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საეთერო დრო გამოყოფილი იქნეს მხოლოდ 2014 წლის 30 ივნისიდან 2014 წლის 14 ივლისამდე.

4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

დანართი: 1 ფურცლად.

გენერალური დირექტორის მოადგილე
ტელემაუწყებლობის დარგში

გიორგი ჩართოლანი

2014 წლის 27 ივნისის №130 ბრძანების დანართი №1

მაუწყებლის მიერ გამოყოფილი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო (პოლიტიკური) ფასიანი რეკლამის განთავსებისთვის საეთერო დრო გამოყოფილია 2014 წლის 30 ივნისიდან 2014 წლის 14 ივლისამდე.
საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხზე ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი საეთერო დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის შეადგენს 22 წუთს, მეორე არხზე 18 წუთს, რადიო FM 100.9-ზე 24 წთ, ხოლო რადიო FM 102,4-ზე 18 წთ-ს.
ფასი მოცემულია ლარში და ითვალისწინებს დღგ-ს.

სარეკლამო დროის ტარიფი:

1 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (*1 წთ. ფასი ლარებში*)	
		გადაცემამდე	გადაცემაში
06:27-11:59	ორშაბათი - კვირა	2000	2000
12:00-15:59	ორშაბათი - კვირა	4000	4000
16:00-17:59	ორშაბათი -კვირა	5000	5000
18:00-01:59	ორშაბათი - კვირა	8500	10000
02:00-05:00	ორშაბათი - კვირა	2000	2000

2 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (*1 წთ. ფასი ლარებში*)	
		გადაცემამდე	გადაცემაში
06:27-11:59	ორშაბათი - კვირა	900	900
12:00-15:59	ორშაბათი - კვირა	990	990
16:00-17:59	ორშაბათი -კვირა	1260	1260
18:00-23:59	ორშაბათი - კვირა	1440	1440
00:00-01:59	ორშაბათი - კვირა	800	800

რადიო FM 102.4 FM 100.9			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (*1 წთ. ფასი ლარებში*)	
		გადაცემამდე	გადაცემაში
06:27-11:59	ორშაბათი - კვირა	500	500
12:00-15:59	ორშაბათი - კვირა	600	600
16:00-17:59	ორშაბათი -კვირა	500	500
18:00-23:59	ორშაბათი - კვირა	300	300
00:00-02:00	ორშაბათი - კვირა	500	500

„27“ ივნისი 2014წ.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი

გენერალური დირექტორის მოადგილე ტელემაუწყებლობის დარგში

გიორგი ჩართოლანი

204858163